სსრ კავშირის პირველობა

«დ ი ნ ა მ ო»

(თბილისი)

«კ ა რ პ ა ტ ი»

(ლვოვი)

2 მაისი

2 МАЯ

დასაწყისი 18 საათზე

Начало в 18 часов

ПЕРВЕНСТВО СССР

„ДИНАМО"

(Тбилиси)

„КАРПАТЫ"

(Львов)

1973

«КАРПАТЫ» (Львов)

Старший тренер В. **БУБУКИН**

Капитан команды Б. **ГРЕЩАК**

1 Швойницкий

3 Поточняк, 4 Чарба

2 Кикоч, 5 Сыров

6 Броварский, 7 Грещак, 8 Савка

9 Данилюк, 10 Лихачев, 11 Козинкевич

11 Кипиани, 10 Г. Нодия, 9 Гуцаев

8 Асатиани, 7 Мачаидзе, 6 Эбралидзе

5 Хинчагашвили, 2 Дзодзуашвили

4 Хурцилава, 3 Челидзе

1 Гогия

«ДИНАМО» (Тбилиси)

Старший тренер А. **КОТРИКАДЗЕ**

Капитан команды М. **ХУРЦИЛАВА**

ფასი 5 კაპ. Цена 5 коп.

Заказ № 1475 Тираж 2.000 УЭ 11889

ФУТБОЛ

ფეხბურთი

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი

Тбилисский стадион „Локомотив"

მესამე წელი უმაღლეს ლიგაში

ლვოვის „კარპატი" სულ მესამე წელია თამაშობს უმაღლეს ლიგაში. რა თქმა უნდა, ეს ძალზე მცირე ხანია მათთან შედარებით, ვინც უკვე ათეული წლებია გამოდის უძლიერესთა რიგებში და საფუძვლიანად აქვს შექმნილი მტკიცე ტრადიციები, მაგრამ ლვოველთა შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთის მოყვარულებმა, მაყურებლებმა თავიდანვე კარგად მიიღეს ისინი და ყურადღებით ადევნებენ თვალს მათ თამაშს. რასაკვირველია, ეს სიმპათიები „კარპატის" მიმართ შემთხვევითი არაა: ეს გუნდი ერთადერთია საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში, რომელმაც, როგორც II ლიგის წარმომადგენელმა, შეძლო სსრ კავშირის თასის მოპოვება. ეს იყო 1969 წელს. ფინალურ მატჩში როსტოვის არმიელებთან „კარპატიმ" შესანიშნავად ითამაშა, დაამარცხა მრისხანე მეტოქე ანგარიშით 2:1 და დაეუფლა საპატიო პრიზს. ეს დიდი გამარჯვება იქცა იმ სტიმულად, რომელმაც ლვოველი ფეხბურთელები აიძულა ებრძოლათ გაათკეცებული ძალებით, რათა მათს გუნდს ახალი წარმატებები მოეპოვებინა და დაემკვიდრებინა ადგილი უძლიერესთა შორის.

ასეც მოხდა. ლვოველებს უკვე ჰქონდათ უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბრძოლის გამოცდილება — 1968 წელს მათ მონაწილეობა მიიღეს სოჭის ფინალურ ტურნირში, მაგრამ იქ წარმატება წილად ხვდა სვერდლოვსკის „ურალმაშს", ხოლო „კარპატის" ფეხბურთელებს ერგოთ ვერცხლის მედლები (II ადგილი) და სპორტის ოსტატთა წოდება.

1970 წელს „ა" კლასის I ლიგის ძნელი და ხანგრძლივი ტურნირი ლვოველებმა შესანიშნავად ჩაატარეს და უკვე პირველი წრის დასასრულს გახდნენ ლიდერები ალმა-ათის „ყაირათთან" ერთად. მეორე წრეში „კარპატიმ" არა თუ არ დათმო პოზიციები, პირიქით, კიდევ უფრო ძლიერად, სრული მობილიზებით ჩაატარა მატჩები როგორც შინ, ისე გასვლაზეც და საბოლოოდ მიაღწია კიდეც იმ მიზანს, რომელიც დასახული ჰქონდა — გადავიდა უმაღლეს ლიგაში.

დებიუტი უძლიერესთა შორის საუკეთესო გამოდგა — X ადგილი, შარშან კი ლვოველებმა გაუძლეს სასტიკ კონკურენციას ცხრილის ქვემო ნახევარში, დაიკავეს XIV ადგილი და შეინარჩუნეს ადგილი უმაღლეს ლიგაში.

საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში თბილისის „დინამო" ოთხჯერ შეხვდა „კარპატის". 3 შეხვედრა დამთავრდა ფრედ (0:0, 2:2, 0:0), ერთი მოიგეს თბილისელებმა — 5:1. ამას გარდა, შარშან თბილისელები ორჯერ ეთამაშნენ ლვოველებს სსრ კავშირის თასზე. ორივე მატჩი ფრედ დამთავრდა (0:0, 1:1), მაგრამ წარმატება „კარპატის" ხვდა, ვინაიდან ბურთი მან მოწინააღმდეგის მინდორზე გაიტანა.


ისევ პენალტების შესახებ

ჩვენი პროგრამების წინა ნომერში გამოქვეყნებული იყო წესი იმ პენალტების შესახებ, რომლებიც სრულდება სერიების სახით, გამარჯვებულის გამოსავლენად, თუ მატჩის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა.

აღნიშნული იყო, რომ მეკარეს უფლება არა აქვს ფეხი მოიცვალოს ადგილიდან მანამ, სანამ პენალტის შემსრულებელი მოახდენს დარტყმას. მაგრამ გარკვეული წესები არსებობს დამრტყმელი მოთამაშის მიმართაც. კერძოდ, მას უფლება არა აქვს განზრახ ნელა დადოს ბურთი წერტილზე იმ მიზნით, რომ მოატყუოს მეკარე და მერე უცებ, მოულოდნელად დაარტყას კარში. არ შეუძლია მას, აგრეთვე, გამორბენის შემდეგ უცებ გაჩერდეს, შეასრულოს ცრუ დარტყმის იმიტაცია მეკარის დეზორიენტაციის მიზნით და მერე დაარტყას კარში.

ბურთის წინ გაგორება პარტნიორისთვის შეიძლება მხოლოდ იმ პენალტების შესრულებისას, რომლებიც ინიშნება თვით თამაშის დროს, ძირითად დროში.

ЧАЙНВОРД



1. Страна, команда которой была чемпионом Олимпийских игр по футболу.
2. Популярный советский вратарь.
3. Белорусская футбольная команда второй лиги.
4. Известный венгерский футболист, олимпийский чемпион 1968 г.
5. Обладатель приза «Золотой мяч» 1971 года.
6. Заключительная часть соревнований.
7. Футболист московского «Спартака».
8. Выдающийся бразильский футболист.
9. Ведущий голландский футбольный клуб.
10. Югославский футболист, обладатель приза «Золотая бутса» 1972 года.
11. Румынский футбольный клуб.
12. Швейцарский судья по футболу, обладатель «Золотого свистка».
13. Спортивное общество.
14. Лучший бомбардир чемпионата СССР 1969 года.
15. Нападающий московского «Торпедо».
16. Футбольная команда второй зоны II лиги.
17. Один из лучших советских арбитров.
18. Футболист минского «Динамо».
19. Спортивная организация, команда.
20. Лучший футболист Европы 1968 года.
21. Часть футбольной встречи.
22. Страна-организатор чемпионата мира по футболу 1970 года.
23. Вратарь ереванского «Арарата».
24. Команда первой лиги класса «А».
25. Лучший бомбардир сборной футбольной команды СССР.

ОТВЕТЫ: 1. Венгрия, 2. Яшин, 3. «Неман», 4. Новак, 5. Круифф, 6. Финал, 7. Ловчев, 8. Вава, 9. «Аякс», 10. Скоблар, 11. «Рапид», 12. Динст, 13. «Торпедо», 14. Осянин, 15. Никонов, 16. Волга, 17. Андзюлис, 18. Словак, 19. Клуб, 20. Бест, 21. Тайм, 22. Мексика, 23. Абрамян, 24. «Нефтчи», 25. Иванов.